

2021 წლის 20-21 სექტემბერს თბილისში ჩატარებული მე-4 საერთაშორისო კონფერენციის - „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“

რეზოლუცია

მე-4 საერთაშორისო კონფერენციის „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“, თბილისში ჩატარება დაიგეგმა ამავე სახელწოდების წინა კონფერენციაზე 2018 წელის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ინსტიტუტმა წარადგინა განაცხადი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და კონფერენციის ჩატარება დაფინანსებული იქნა 2020 წლისთვის. კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო მისი ჩატარების თარიღი ორჯერ შეიცვალა, და ბოლოს, 2021 წლის სექტემბერში ჩატარდა ჰიბრიდულ რეჟიმში.

მიუხედავად ასეთი ფორსმაჟორული ვითარებისა კონფერენციისადმი საერთაშორისო დაინტერესება არ შემცირებულა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველი შეტყობინების შემდეგ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს რვა ქვეყნის (აშშ, ისრაელი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, გერმანია, ავსტრალია, საქართველო) ცნობილი მეცნიერული ცენტრის მეცნიერებმა. კონფერენციაზე წარდგენილი იქნა 60 ნაშრომი. პლენარულ სხდომებზე მოხსენებული იქნა 28 ნაშრომი.

მე-4 კონფერენციაზე გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური მიმართულებები:

- სალი, ცეცხლგამძლე, ნახევრადგამტარული, კოროზიამედეგი და სხვა სპეციალური თვისებების მქონე ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები, უპირატესად თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის გამოყენებით;
- მასალების სტრუქტურული, ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების კვლევის მეთოდები;
- ტექნოლოგიური პროცესების - დნობის, ელექტროგლინვის, ქიმიური სინთეზის მოდელირება;
- ზეგამტარული მასალების მიღების მეთოდები და ფიზიკური თვისებების კვლევა.

კონფერენციის მონაწილეები მადლობას უხდებიან კონფერენციის მასპინძელი ორგანიზაციის - ფერდინანდ თავამის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას კონფერენციის წარმატებულად ჩატარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეები თანხმდებიან, რომ რიგით მე-5 კონფერენცია ამ სფეროში ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდეს 2024 წელს.

ორგკომიტეტი